

# ივერია

გაზეთის დასაყვებად და კერძო განცხადებებთან დასაბუქად უნდა მიჰმართონ: თბილისის რედაქციას, ახალ-ბუთის ქუჩაზე, სახლი № 9, შავრდოვს საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიგორის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

გაზეთი ღირს:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

## გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისისადამ წლის დამალეკამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 23 ივნისი

ჩვენ აუარებელი დღეები მოგვდის დიდის თხოვნითა, რომ დაგვიბეჭდეთო. ჩვენდა სამწუხაროდ და დამწერთა არასასიქადულოდ, ათასში ერთი ძლიერ გამოდგება ისეთი, რომელზედაც შესაძლო არ იყოს საშარათლიანად თქმა: რაზედ მომცდარა დამწერიო. ჩვე ჩვენის მოვალეობისამებრ, რასაკვირველია, იძულებულვართ გადავიკითხოთ ხოლმე ყოველივე ეს წარამარად კუდ-გადაბმული მწუხარსიტყვაობა, რომელიც გაუსაზნავურემსავით ჭრიჭინებს ყურისათვისაც და გულისათვისაც. ვკითხულობთ და ვნანობთ, —რაზედ დაგვიკარგეთ დრო და რაზედ წავიხდინეთ, გავივადეყურეთ გუნება. ჩვენ კიდევ იმედი მაინც გვანუგებებს, როცა ამისთანა უმადურს, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელს შრომას ხელს ვკიდებთ. ვფიქრობთ, იქნება ათასში ერთს კარგსა და მარილიანს რასმეს შევხვდეთ და თუ ეს იშვიათი, ძლიერ იშვიათი ბედი გვეწვევა, სიხარულით წავაგვლებთ ხოლმე ხელსა, როგორც ობოლს მარგალიტსა, აუარებელ ლეკში ნაპოვნსა. მაშინ ჩვენც ვსიამოვნობთ და ვსტუმბებით და ჩვენს მკითხველსაც ვასიამოვნებთ და ვატუბობთ.

ვამბობთ, ეს ბედი იშვიათად გვეწვევა ხოლმე. ხშირად მთელ დასტუპადალდს გადიკითხავთ და ერთს სტრიქონსაც ვერა ნახავთ, „ღვთაებურის ცეცხლით“ გამთბარსა. სანანური მარტო ეს ჩვენი ამ გადაკითხვაში დაკარგული დრო არ არის: ეგ ჩვენი მოვალეობაა, მართალია, მეტად უსიამოვნო და შემაწუხებელი, მაგრამ მაინც მოვალეობაა. ხოლო საკვირველი ეს არის, —დამწერი რადა სცდება, რადა ჰკარგავს დროს, ხარჯავს ქადალდს, მეღანს მაშინ, როდესაც არავისაგან დავალებული არ არის? უსაქმურს კაცს, რა თქმა უნდა, ამისთანა უნებროდ საქმიანობა არ ეკვირნება, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია, ნათქვამია. ჩვენ ამისთანა კაცის არც დრო გვენახება, არც ჯაფა, იმიტომ რომ არც ერთის მისთვის გამოსაყენებელი და არც მეორე, დეე ისევ ლექსებში სიტყვები აჭრიჭინოს თვისდა სასიამოვნოდ და რედაქტორის შესწუხებლად. ხოლო სამწუხარო და სანანური ის არის, რომ ამანავე სცდება თითქმის უსუსური ყმაწვილები, რომელთაც მძიმე მოვალეობა სწავლისა ჯერ კიდევ წინ მიუძღვით და მამასადამე დროსა და ჯაფას მათთვის თავისი საუფსურის აქვს.

დღე არ გავა არ მოვალედექ ლექსი და ქვემ არ ეწეროს „მოსწავლე ამა და ამ სკოლისა“. დღევანდელი ჩვენი სიტყვა ამით გვინდა მივმართოთ, ვმიშობთ კი, რომ ჩვენი სიტყვა ისე არ იქმნას მიდებული ზოგიერთ ჩვენთა მოკეთეთაგან, ვითომც ჩვენ ხალისის დახმ-

ვა და გაცუდება გვინდოდეს. დმერთმა ნუ ქმნას!.. ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთა-შესმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰჭვიკობს ცარიელის ხალისით გახდეს რასმე.

ამიტომაც ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირ-და-პირს სიტყვას. პირ-და-პირი სიტყვა სჯობია ტუქუილ-უბრალო წაქეზებას. ქართულად ლექსად მოწუბობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა ვგვო-ნია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ ავიხსნით, მთქმელიც ტუქუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ შროლოდ მისი ზედ-მოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატუბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ღბინშია. ვიცით, რომ იგი ხატება ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნადევლთა, ღბინთა, ერთის სიტყვით, ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება“, მის მიერ გატაცებული „გულის თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ“, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბართაშვილი. ყოველივე ეს ვიცით და თვითონ პოეზია რა არის, ეს კი

არავინ იცის. პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია.

მადლი ხომ მადლია, მარგამ ამასაც მოვლას უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავა-კაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთ უნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებს ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე მუდამ არა ჰფურჩქნის.

თუ დმერთს პოეტობის ნიჭი მოუმაღლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გემინინათ, იგი არ მიგემადლებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდანა, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მავ უსუსურს მადლს მეცნიერების ნოყიერს ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და დმერთმაც მოგიმართოთ ხელი მავ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლით, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე. კიდევ გეტყვი: პოეზია დვთაბური დონეა, გულის სიდრმადამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარის ცნოველ მყოფელი და ხორცთ-შემსხმელი უსხულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით, ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული ზდგავა უძირო, არამც თუ თვად, ფიქრ მიუწოდ-

მელიცა. ამ ზდვისათვის კაცი გემია, ნიჭი — აფრა და მეცნიერება — საჭე, გემის მიმმართველი. ადამიანი ამ ზდვანედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე წეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესენელებისა და ქვეყნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად“, ხელნი ცისა და ქვეყნისა მაჯის ცემის შემტუბად და ენა ყოველ ამის ადმოთქმელად და მთარგმნელად.

ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა მსოფლიო ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ წერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უსატუბო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძობში, რომ მერე პოეტის მხატრობითა სიტყვამ ადმოთქვდოს, სული ჩაუდგას, ხორცილთ შემოსოს ადამიანის გასატუბებლად, ადსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის. „უკეთუ მთარგმნელი არ იყო“, მკითხველი დუმენო“, ნათქვამია ერთის ძველის ბრძნისაგან. ჯერ თქვენ, ვითარცა მოსწავლე ურმათა ეგ მთარგმნელობა არ შეგიძლიანთ, ვიდრე საკმაოდ არ შეისრულეთ სწავლასა. ამიტომაც მოგახსენებთ: სდუმენ იმ დროამდე. ამას გირჩევთ ყველას, ვისაც

## ფელეტონი

### სამიარო სხარტულა

ტფილისელებს მდგომარეობა ზაფხულობით. — ორიოდ სიტყვა სოფლებების მიმართ. — ტფილისის საქალაქო ბაღები. — რისთვის არ ვარგა ჩვენთვის ბოტანიკური ბაღი? — რა დამართა ეგრედ წოდებულს ალექსანდრეს ბაღს და როგორ დაეცა ამ უმად? — მუშტაიდის ბაღი და მისი მნიშვნელობა ტფილისისათვის. — რა მდგომარეობაშია ესლა მუშტაიდი და რა სარგებლობას აძლევს იგი მის მოიფარადრეს? — სვე-უბედური მწვადი და ყაზანის აუციერი. — რა გააკეთა კამისიამ?

მოგახსენებთ, რომ ტფილისელის მდგომარეობა ზაფხულ უმეტესაკლებად შეეღრება იმ სამ ყრმათა მდგომარეობას, რომელნიც, ძველის აღთქმის მოწმობით, შთაფარდნილ იყენენ ანთებულ სახშილში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზემოხსენებულ ყრმათ, როგორც წმიდა და სათნო არსებათ, იცავედა ცეცხლისაგან უნილავე ლეთაებრივი ძალა, ხოლო ჩვენ,

ვისაც არც სიწმიდით და არც სათნოებით თავის გამოჩენა არ ძალგვიძს, არ გვიწყნარებს არა თუ უხილავე, არც ხილული და კაცობრიული ძალიც. მართალია, წელს რალაც მზის სხივს მეტი სიბრძნა არა აქვს, ვინმე ჩვენის საქალაქო საბჭოს ორატორების „რჩებებს“, ხოლო ეს სიგრილე ხომ იშვიათი მოვლენაა, რომელიც აა წელიწადში ერთხელ გვეწვევა ხოლმე. საზოგადოდ კი ჩვენ ყველანი, ვისაც საქმეები და ჯიბის ავად-ყოფობა გვიჭერს ქალაქში და არ გვაძლევს ნებას მოვიბრუნოთ სული გარეშო ავარაკების სიგრილეთი და ჰაერთა კეთილ-შეზავებულიობითა, ჩვენ, ვამბობ მე, მართლა რომ ემაშრადნია და ცვირთ-მძიმენია, — მსხვერპლნი ვართ, საცოდავნი მსხვერპლნი უფულობისა და მოვალეობისა... გინდა, თუ არ გინდა, იწურე ოფლში, გსურს, თუ არა გსურს, იწვი ცეცხლის კერასავით გახურებულ ქუჩებში, იყროსვე ყოველ-გვარი აესუნინანობა და, დასასრულ, მადლობელი იყავ თუ უმოწყალო მზის სხივებთან ბრძოლაში დაჰკარგე ორიოდ გირვანქა კეთილ-შენაძენი ქონი

და სულ არ განუტყვე უდროოდ ცოდილი სული... გკითხავთ თქვენ, ვინც უზარმაზარის კაკლის ქვეშ, ან და მამა-პაპურის სახლის დერეფნის სიგრილეში, უჩოხოთ და უხალოუხოთ, ჰკითხულობთ ამ სტრიქონებს, — ნუ თუ შესაბრალისნი არა ვართ ჩვენ, ტფილისელნი, და ნუ თუ სანატრელი და საქები არ არის თქვენი მდგომარეობა „წილას მას ბუნებისას“!..

ახ, ბატონებო! ამ თქვენს ყოფას აქებდით ხმითა ნესტისათა, აქებდით ფსალმუნითა და ებნითა!

აქებდით მას ბობლნითა და მწყობრითა, აქებდით მას ძნობითა და ორლანოითა!

აქებდით მას წინწილითა კეთილხმითა, აქებდით მას წინწილითა ღალღებისათა!..

ერთის სიტყვით, ყოველითა და ყოველისფრითა აქებდით და შეწატრადით თქვენს ყოფას...

\* \* \*

ჩვენ კი... ემა! ჩვენი უწყალო ხვედრი გარდა უსარგებლო გოდებისა და დაუსრულებელის მოთმინებისა არაფერს არ გვიქალის უკეთესს. ყველა-

ზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენთვისაც შესაძლო იყო წამალი, რომ ვინმე იმისთანა მადლიანი კაცი გვეოლოდა და ეზრუნეა ჩვენთვის. ესთქვათ ტფილისის ბაღები, — ნუ თუ მათ არ შეძლოთ ენუგემენინათ ჩვენი დასველიანებული გულები, რომ ჩვენთვის, ესე იგი საზოგადოებისათვის, იყენენ ისინი და არა ერთი-ორი კაცისათვის, რომელთაც მხოლოდ თავის ჯიბე მიანჩნათ ბომონად და ჯავრიც არა აქვთ საზოგადოებისა. მაგრამ ვაი რომ ჩვენი ჩვენი არ არის, სახელი ქალაქისა და სახარავი კი სხვისი... საბოტანიკო ბაღი, მაგალითად, როგორც იწერებოდნენ გაზეთებში, იმ ნაირად ჰქონია დასაკუთრებული ერთს ვილაცს, რომ ჯარიმას ახდენინებს ყველას, ვინც კი თუნდა ერთს ბოთლს ღვინოს შეიტანს შიგ. ამ ჯარიმის უსამართლობა მით უფრო საგულისხმოა, რომ იქაური, ესე იგი ბაღის ბუფეტში ნახილი ძნელი სანდობია შეუწყველის კაცისათვის. ერთი რომ სასმელ-საქმელი იქ მეტად ახირებულა და რაც არის, ისიც მეტის მეტი ბინძურად მოაქვს. უყურებ, მაგალითად, გაწვებულს და

გამწვირიანებულს სუფრას, ხელსა-ხოცს, სამოვარს, თვით მოსამსახურეთაც და სულ ის მოვლისთ თავეში, რომ ეს ყოველივერი სადმე ატალახინებულს გუბეში გდებულა ამდენხანს და ენლა მხოლოდ, შენის მოსვლისათვის, ამოუხიდავსთ იქილამო. რალა სახერხო ბალია ამ გვარი ბალი, ერთი მიბრძანეთ?!.. ამ ნაკლულევენებათ ისიც დაამატეთ, რომ თვით ბაღი სადლაც შორს, ქალაქის განაკიდეს არის გაშენებული, რომ იქ მისელა ტფილისის შუა-გულ მტოვრებელთათვის უფაიტონოდ შეუძლებელია და ფაიტონის ფასი კი ყველას არა აქვს, რომ მოქციფე ხალხი (კინტოები, კრუები, სპარსელები და სხვანი), რომელიც მუდამ ბუღავობს ამ ბაღში, ვერაფერს ამხანავობას გაუწევს მყოჯანე ხალხს, რომ, ამის გარდა, ერთ გვარის ქალბატონების სიმრავლე საბოტანიკო ბაღში, ის სცენები, რომელსაც იქ ჰხედვენ, მეტად საზარელი რამ არის, და რა თქმა უნდა ვერ მიიზიდავს მშრომელს და პატრონანს ხალხს. ერთის სიტყვით, რალა გავაგრძელოთ,

ხადისი ლექსის წერისა ადრეუ-  
ლად გავდვიძებოთ. ვცდებით ამა-  
ში, თუ არ ვცდებით, ეს კი გვერ-  
წყუნეთ, რომ რჩევა ჩვენი გულ-  
წრფელია ორსავე შემთხვევაში.  
გვეწყუნეთ, რომ ამ რჩევას იძ-  
ღვება თქვენი გულითადი მეგობარ-  
ი, თქვენი კეთილის მოსურნე.

### ახალი ამბავი

\* \* კავკასიის სამხედრო ოლქის  
სასამართლოს გარდაწყვეტილება პრა-  
პორიკის შენინგის საქმის თაობაზედ  
უმალღესის სამხედრო სასამართლოს  
გარდაწყვეტილებით გაუქმებულ იქნა  
და ახალი განხილვა ამ საქმისა და-  
ნიშნული.

\* \* გუშინ მთაწმინდაში ვილა-  
ცა ნიკოლაეც, ახალ-გაზდა ყმაწვილ-  
კაცს, ქართულის დრუჟინის იუნკერს  
თავი მოუტლავს, თვით-მკვლელობის  
მიზეზი ჯერ-ჯერობით არაფერ იცის.  
გამოძიება სწარმოებს.

\* \* ჩვენ გვთხოვენ გამოცხადდეთ,  
რომ ტფილისის ზოგიერთ აუთიპეტებ-  
ში მეტად ბევრს ფულს ახდენენ  
წამალში. კარგი იქნებოდა, რომ ამ  
წამლებზედ დაენიშნათ რაიმე გა-  
მორკვეული ნიხრი, თორემ ერთს  
წამალში ერთგან ექვს აბაზს ართმე-  
ვენ, მეორე აუთიპეტში ოთხ აბაზს, მე-  
სამეში მანათს და სხვანო.

\* \* მის გამო, რომ თათრის მვი-  
დანზე მეტის-მეტე ვიწროობაა, ქალა-  
ქის გამგობას შემდეგი განკარგულე-  
ბა მოუხდენია: 1) ის ნახშირი, რაც  
აქამდე თათრის მვიდანზე მოჰქონდათ,  
ამას იქით გაიყიდოს რიყეზე ხოლომე;  
2) აიკრძალოს მწვანელოვლობის გა-  
მოყენა ღუქების წინ და 3) ნება  
არა ჰქონდეთ მუშა საქონელს იქვე  
მვიდანზედ დაუყარონ თივა, ანუ  
სხვა რამ საქმელი, რადგანაც მვიდა-  
ნი ნაგვიანდება.

\* \* გამოვიდა ქართულის ენაზედ  
საღმრთო ისტორია ახლის აღთქმი-  
სა, შედგენილი დიმიტრი ჯანაშვილის  
მიერ. წიგნი სუფთად არის გამოცე-  
ნი.

მული და არც ძალიან ძვირი ფასია  
დანიშნული—50 კაპ.

\* \* როგორც გვეწერენ დაბახონი-  
დამ, იქ ამ თთვის 21-ს, მომხდარა  
სახარელი ვაცის-კვლა. ერთი იქაური  
გლეხი, გვარად ფარულავა, რომელ-  
საც რაღაც მტრობა ჩამოვარდნა  
თავის სიძესთან, ქუთათელაძესთან,  
ჩაჰსაფრებია და როცა ქუთათელაძე  
გამოსულა სახლიდან, დაუხლია თო-  
ფი. საბრალოს ტყეა მოხვედრია შიგ  
გულში და იქვე განუტყევებია სული.  
მკვლელობა თვითონ გამოაცხადა თურ-  
მე პოლიციაში ეს ამბავი. მკვლელის  
წაქეზებას, გვეწერს ჩვენი კორესპონ-  
დენტი, აბრალდენ ერთს მკვლელის  
ნათესავს ქალსაო.

\* \* გუშინ, 28 ივნისს სოფ. წი-  
ნამდღე-ჩიანთ-კარის სამეურნეო სას-  
წავლებელში დაიწყო ყმაწვილების  
გამოცდა. ამის გამო ამ სასწავლე-  
ბელში მიწვეულნი არიან კავკასიის  
სამეურნეო საზოგადოების ზოგიერთ-  
ნი წევრნი.

\* \* ამას წინედ ვლადიკავკაის  
გზაზედ შემდეგი სამწუხარო ამბავი  
მომხდარა: ინჟინერის პ. ცოლი ეტლით  
ვლადიკავკაიდან ტფილისში მოდ-  
ნილა თავის ოთხის წლის ვაჟით, რომე-  
ლიც თბილ წყლებზე წაყვანა საბანე-  
ლად. რკინის გზის სადგურთ, ანაურსა  
და ღუშეთ შუა, რომ მოატანეს, ყმა-  
წვილმა თურმე გამოიხედა ეტლიდან,  
გადმოვარდა და იქვე დედის თვალ-  
წინ ეტლმა გაიტანა და სული გაან-  
თხევინა. წარმოსადგენია უბედურის  
დედის ქან 3—ს მწუხარება. ეს ამბა-  
ვი გაზეთებშია არის ამოღებული.

\* \* ბორჯომიდან გვეწერენ: ბორ-  
ჯომი ათის სოფლისაგან შესდგება  
და მხოლოდ ერთად ერთი ბოქაუ-  
ლი ჰყავს. ზამთარში კიდევ როგორ-  
მე აუვა, ზაფხულში-კი მეტად ბევრი  
საქმე უჩნდება. აქ სასამართლო და  
ნოტარიუსი არ არის და ყველას საქ-  
მეს ბოქაული ასრულებს: ვის მოწ-  
მობას აძლევს, ვის რწმუნების ქა-  
ლალს უმოწმებს, ვის რას და ვის  
რასაო. წამ-და-თუწამ აქეთ-იქით სოფ-  
ლებში იბარებენ და ბორჯომი რამდ-  
ენისამე პოლიციელის ჯარის კაცის

სინაბარა რჩებოა. არ იქნებოდა ური-  
გო, რომ ზაფხულში თანაშემწე  
დაენიშნათ აქაურის ბოქაულისთვის,  
რომ უფრო დრო ჰქონებოდა სოფ-  
ლებისთვისაც ეგლო თვალ-ყური და  
თვით ბორჯომისთვისაცაო.

\* \* იქიდანვე გვეწერენ: ამ დღეებ-  
ში ვილამაც ერთ ნაირი სოკო მოი-  
ტანა აქა და გაჰყიდა. აღმოჩნდა, რომ  
ეს სოკო საშინელი მაწიწარი სო-  
კო იყო (გველის სოკო), ოთხი კაცი  
კინაღამ სასიკვდილოდ არ დაშხამა.  
ბოქაულს შეატყობინეს და მან ყვე-  
ლას აჩვენა და გააფრთხილა. სოკოს  
გამსყიდველები ვერ იპოვნეს.

\* \* იქიდანვე გვატყობინებენ: აქა-  
ური სასტუმროები ისე გაივსო მდგმუ-  
რებით, რომ ზოგიერთი ახალ-მოსულ-  
ნი, უბინაობის გამო, იძულებულნი  
არიან ეტლებში გაატარონ ღამე, ზოგ-  
ჯერ მოსამსახურეთა ოთახებსაც თხო-  
ულობენ საქირავებლად. ბორჯომში  
ამ ჟამად მარტო ორი სასტუმროა  
და წლეულს-კი ათი რომ ყოველი-  
ყო, ნამეტანი არ იქნებოდაო. დიდ-  
კაცობა ბევრია წელს ბორჯომშიო.

\* \* თელავიდან გვეწერენ: დიდი  
მოძრაობაა წლეულს თელავში. გზას  
ვერ აუქცევს კაცი ტფილისიდან ყო-  
ველ დღეს მომავალ-და-მომავალ დი-  
ლიჯან-ოშნიბუსებს. თავ. ჰაეკავაძისე-  
ულ მამულში მუშა-ხალხის მოძრაო-  
ბას და სიმრავლეს ხომ თელა არა  
აქვს. წელს თელავში ჩამოვიდნენ სა-  
ზაფხულოდ რუსეთის სხვა-და-სხვა  
უმალღესს სასწავლებლებიდან სტუ-  
დენტები და, როგორც ვაფიგეთ, სა-  
ზოგადოების დახმარებით განზრახვა  
აქეთ წარმოადგენენ გამართონ ამ  
ზაფხულს ღარიბ მოძმეების სასარგებ-  
ლოდ.

\* \* იქიდანვე გვეწერენ, როგორც  
დარწმუნებით შეგიტყუეთ, მომავალ  
სექტემბრისათვის რამდენსავე სოფელს  
კახეთში სასოფლო სკოლების გამარ-  
თვა განუზრახავს. სასურველია, რომ  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-  
გადოებისაგან კახეთში დანიშნულმა  
პირებმა ყურადღება მიექციონ ამ გა-  
რემობას და რაიმე შემწეობა აღმო-

უჩინონ სკოლის გამართვის მსურ-  
ველთ.

\* \* სურამიდან გვეწერენ: ამ დღეებ-  
ში სურამში მოხდა შემდეგი არა  
ჩვეულებრივი ამბავი: ამ თთვის 22-ს,  
ღამის 10-ს საათზე, სურამში დროე-  
ბით მცხოვრებელმა ზ—მა თავისი მო-  
ჯამაგირის შემწეობით მოსტაცა მოსა-  
მსახურე გოგო აქაურს აფთექარს ეს  
გოგო ამ ღამესვე წაუყვანიათ ს. ბეკა-  
ში (ორი ეგრისის მანძილზე მდებარეობს)  
და მიუბარებიათ ვილაც ქვრივისთვის,  
რომელიც მოკეთე ყოფილა მოჯამა-  
გირისა, და თვითონ ორთავენი წა-  
მოსულან უკან სურამში. მეორე  
დღეს, 23-ს ვილაც დალაქ ტ—ვილს  
წაუყვანია მტაცებლის მოჯამაგირე  
და ასულან ქვრივთან ბეკამში, გოგო  
წაუყვანიათ ს. ბაიანთ-ხევეში (შეიღ-  
ვრის მანძილზე სურამიდან), მიუ-  
ბარებიათ გ. გ—ვილისთვის და თვი-  
თონ უკანვე წამოსულან სურამში  
მესამე დღეს 24-ს ვილაც აქაური  
დროებითი მცხოვრები ს. გ—ნი, წა-  
სულა ს. ბაიანთ-ხევეში და მისულა  
გულ-და-გულ იმ გლეხთან, სადაც გოგო  
ყოფილა მიბარებული. საღამოს ხანს  
დაუტყუებია გლეხისთვის გოგო და  
მთელი ღამე მამლის-ვიელიამდე ტყე-  
ში ჰყოლია. გათენების დროს წამოუ-  
ყვანია, გადმოუყვანია ისევ ს. ბეკამ-  
ში და მიუბარებია გლეხის ბა—ძეს-  
თვის. —მეორე დღეს დალაქ ტ—ვი-  
ლი, ზა—ვის მოსამსახურე და კი-  
დეე ვილაც სხვები წასულან ბაიანთ-  
ხევეში, მაგრამ გოგო იქ აღარ და-  
ხვედრიათ. გლეხს უთქვამს, გუშინ  
საღამოზედ ამა და ამ ნაირი ყმაწვი-  
ლი კაცი მოვიდა აქა და წაიყვანაო.  
უკან რომ დაბრუნებულან, შემთხე-  
ვით შეხვედრიან გოგოს მებნელებს.  
მამასახლისს და იასაულებს დაუქე-  
რიათ ესენი და უკითხავთ: საიდან  
მობრძანდებით და ვის ეძებთო. რა-  
ლას იქმოდნენ, საქმე აშკარად სჩან-  
და; მეტი გზა არა ჰქონდათ, გამო-  
ტყდნენ: გოგოს ეძებდითო, მაგ-  
რამ სადაც გვევლებოდა, იქ აღარ  
დაგვიხდებოდა. მამასახლისმა არ დაუ-  
ჯერა ამით, წავიდა და იასაულებით  
გადვიდა ბაიანთ-ხევეში, მაგრამ ვერა-  
ფერი ვერ გაიგო. იქიდან რომ წა-

მოვიდნენ და გადმოიარეს ს. ბეკის-  
კენ, შეხვდნენ ს. გ—ნი, რომელმაც  
ბაიანთ-ხევიდან მოტყუებით წამოი-  
ყვანა გოგო მამასახლისმა დაიჭირა  
ეს უკანასკნელი და ძალ-გამოკითხვის  
შემდეგ გ—ნი გამოუტყდა მამასახლისს  
და ასწავლა იმ გლეხის სახლი, სადაც  
გოგო მიებარებინა, მამასახლისმა წამოი-  
ყვანა გოგო, ოქმი შეადგინა და წარუდ-  
გინა აქაურ გამომძიებელს. გუშინ 26-ს  
იყო გამოძიება და ზემო-აღწერილნი  
გარემოებანი დამტკიცდნენ. გოგოს  
და და მამა მოვიდნენ, არ ვიცი საი-  
დან, და გამოძიების დროს დაესწრნენ.  
გოგო ასე ამბობს თურმე: ძალად  
მომიტაცეს და რადგანაც სიკვდილს  
მემუქრებოდნენ, უარი ვეღარ უთხარი  
წაყოლაზედაო.

### დამაკვირდი!

უბედურება, სულ-მოკლე კაცის დამა-  
მსობელი, აღმამაღლებელი დიდ-სულ-  
განია. (სეზუნი)

უბედურებას გონება და ჭკუა იტანს,  
ვაკარგობს გრძელს, მოთმინება და წყ-  
ნა სძლევა ხოლმე. (ფა სეზუნი)

ყველაზედ უბედური კაცი ის არის, ვინც  
წველაზედ ბევრს უბედურებს. (ჩინელი)

როცა წადიდა წინ უსწრობს განსჯა-  
სა და მოფიქრებას, მერე სასანურად  
სდებს. (სეზუნი)

რა ორი საქმე მოგადგეს  
საჭირო მოსაკეპელი,  
ანა იცოდა რა ხამდეს  
საქმელად შეუგნებელი, —  
რომელსა ჭირა და შიში  
მოსდევდას გაუგებელი  
იგი განაქე, შენ დაწი  
ლასკარით დაუგებელი. (სეზუნი VI)

მსედეკელი აღსასრულისა  
მტკრობას ჭრიდეს მოყვისსა,  
დღისა დიდისა მოძლოდნი  
შურს აღარ ექებს არცასა. (აბილ მუჟი)

საბოტანიკო ბალი ჩვენთვის არ არის  
და არც ჩვენა ვართ იმისთვისა.

\* \*

მეორე საქალაქო ბალი—ეგრედ-  
წოდებული ალექსანდრეს ბალია და  
ჩვენებურად, ძველებურად კი—ყაბა-  
ხი. ერთს დროს იგი მართლა დიდს  
შეღავათს აძლევდა ქალაქის მცხოვ-  
რებლებს, მაგრამ დღეს მისი სიკეთე  
გაქარწყლებულია. მას აქეთ, რაც  
ზემო-ნაწილი ბალისა ვადიქრა და  
გაუქმდა საზოგადოებისათვის, ბალს  
დაეკარგა ის შნო და ის ღაზათი,  
რომელიც ჰქონდა უწინ. თუ რა  
გულ-გრილობით შეკუთრებს ესლა მას  
საზოგადოება, იქიდან შეიძლება დაი-  
ნახოს კაცმა, რომ ბოგატროვის  
(აღრე შენინგის) პავლიონი, რომე-  
ლიც აუარებელ ხალხს იზიდავდა წი-  
ნა წლებში, ესლა თითქმის ცარიე-  
ლია საღამოობით. ამას კიდევ ისიც  
დაუმატეთ, რომ ალექსანდრეს ბალი  
თან-და-თან ჰკარგავს იმ სიკეთეს, რო-  
მელიც ჰქონდა მას ადრე და თან-  
და-თან ემსგავსება საბოტანიკო ბალს:  
«დარდიმანდი—ბიჭები» და «აფრინ-  
და—ქალები» აქაც ეპატრონებიან

სხვის კუთვნილებას და კიდევ დაე-  
საკუთრებინან სამუდამოდ... ეს, რა-  
საკვირველია, ბევრისათვის სასიამო-  
ნო არ იქნება, მაგრამ რომ ეს მო-  
ხდება კი, ამაში ეჭვი არ არის...

\* \*

ამ ნაირად დაგვრჩა ესლა ერთად  
ერთი ბალი—მუშტაიდისა, რომელიც  
ბევრად სჯობია ყველა სხვა ბალებს  
და რომელსაც მართლა რომ შეუძ-  
ლია გული მოფხანოს საზოგადო  
მოთხოვნილებას. ყოველ გვარი კე-  
თილი, რაც კი საჭიროა საქალაქო  
ბალისათვის, უხვად აქვს მინიჭებული  
მუშტაიდს: დიდროვანი ხეები, მრავ-  
ალ გვარი ხეხილი, წყალი, კარგი  
ჰაერი და, დასასრულ, თვლისათვის  
მოხდენილი ადგილებიც. ერთად ერ-  
თი წუნი, რომელიც შეიძლება მოუ-  
ნახოს კაცმა,—ეს მისი სიშორეა მუშ-  
ტაიდისა, მაგრამ კარგად რომ დაუ-  
კვირდეთ საქმეს, ეს წუნი მის უბი-  
რატესობასვე შეადგენს. საქმე ის  
არის, რომ ბალის განაკიდება, მისი  
სიშორე ქალაქისაგან, მეტად სასიამ-  
ოვნოდ მოქმედებს მის ჰაერზე. თუ  
ამას იმასაც დაუმატებთ, რომ მუშ-

ტაიდის სიშორე უფრო წარმოდგენი-  
ლია, ვინც ნამდვილი, რომ ცხენის  
რკინის გზა, რომელიც მუშა ქალაქი-  
დან პირ-და-პირ მიდის მუშტაიდამდის,  
შედარებით, თითქმის უფასოდ მიგზი-  
დება ხალხს,—თუ ამას ყოველისფერს  
ავეწინათ და გავზომავთ, ვამბობ მე,  
მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ მუ-  
შტაიდისთან სამარჯვო და სასარგე-  
ბლო ბალი სულ არ მოიძებნება  
ტფილისში. ამ ნაირათვე უყურებენ  
მას ტფილისელებიც: თითქმის ყოველ  
დღე შეამჩნევთ იქ მოსიერზე ხალხს,  
ჰაერისა და სიგრილისათვის მოსულს.

უქმე დღეებში ხომ ტყეა არ არის  
ხალხისაგან: ვაგონი ვაგონზე მიდი-  
მოდის ვარანკოვის ძველის და მუშ-  
ტაიდის შუა, ქალი, კაცი, დიდი და  
პატარა, — ყველა თითქმის თვითო  
საათობით უცდის ვაგონს, ომობს  
და იბრძვის ადგილისათვის. თვით  
ბალში ამ დღეს ნამდვილი ბაზრობაა:  
ქალი და კაცი, დიდი და პატარა,  
ჯარის კაცი და უბრალო ვაჭარი, ჩინო-  
ნიკობა და მოხელენი, მდბალ და  
მალალ წოდების ქალი და კაცი ბუ-  
ხებივით ირევიან ხეივანში. ხან-და-  
ხან კაცმა საათობით უნდა ეძიო და

უცადო შემთხვევას, რომ იხელოთ  
დასასვენებელი ადგილი. მიუხედე-  
ლოდ ამისა, ბალს მაინც უფრო ში-  
ნაური, ოჯახებური ხასიათი აქვს...

ნუ თუ ეს ყოველისფერი არ ამ-  
ტკიცებს ნათლად, რომ მუშტაიდი  
სწორედ იმ გვარი ბალია, რომელიც  
დიდს საჭიროებას შეადგენს ყოველ  
ქალაქისათვის და რომელიც დაუყო-  
ნებლოდ უნდა ავშენებინა ტფილისს,  
თუნდაც არა ყოფილიყო გაშენებუ-  
ლი?!

\* \*

რასაკვირველია, ამტკიცებს და ძა-  
ლიან კარგად ამტკიცებს, მაგრამ  
თქმა ერთია და ქმნა სულ სხვაა. ჩვენ  
არა თუ ვერ ვავაშენებთ ახალს რას-  
მეს, ძველსაც ვერ მოუვლით რიგია-  
ნად. დასამტკიცებლად, აიღეთ თუნ-  
და იგივე მუშტაიდი. ყოველ-გვარი  
სახეობა თვისებით შემკული და გამ-  
შენიერებული გარედამ, რას წარმოა-  
დგენს იგი შიგნით? ღეთისაგან მოძე-  
ბული და ბუნებისაგან მოწყობილი  
ჩვენდა სასარგებლოდ, რას დავამს-  
გავსეთ ჩვენ ჩვენის უხეირობით? წა-  
ბრძანდით და დაიარეთ მუშტაიდი,

დააკვირდით მის მიდამოს, იცოდინეთ  
ის წეს-წყობილობა, რომელიც ჰსუ-  
ფევს შიგ და გაიგებთ ყველაფერს...

პირველი რაც გავაოცებთ თქვენ  
იქ—ეს ბალის უსუფთავობა და მოუწ-  
ყობლობაა. გზები ყველგან სწორი  
როდია, ალაგ ოღრო-ჩოღრობია,  
ალაგ მიწა ყრია უთავ-ბოლოდ. სი-  
ლა, ან სულ არ არის მოყრილი გზებ-  
ზე, ან თუა, ძლიერ ცოტად, ასე რომ  
დარში მტვერი არჩობს კაცს და აე-  
დარში წუშებები. ხეები ისე არ არის  
მოვლილი, როგორც რიგია, და ყოვე-  
ლისფრიდამ სჩანს, რომ არაფერ არ  
აქცევს ყურადღებას. ერთის სიტყვით,  
მებალის ხელი არ ატყვია იქაურობას  
და მართლაც, როგორც ვამბოვო  
ერთმა საქმის კარგად მცოდნე პირმა,  
მებალეს არა ჰყავს მოიჯარადრეს და  
ისე იოლად მიდის თურმე დღიურ  
მუშების შემწეობით.

\* \*

აქვე, ჩვენის ფიქრით, ურიგო არ  
იქნება ორიოდ სიტყვა ესთქვით თვით  
მოიჯარადრევე და იმ ზრუნვაზე, რო-  
მელსაც იჩენს იგი ბალის და საზოგა-  
დოების შესახებ. ეს მით უფრო სა-

ს გურჯაანი

გაზაფხული.—ამინდი და მოსავალი.—ბევრობა და გლეხი.—მეშა-სე-ლის სიმჭირი და გლეხი—და გურჯაანელები.

(დასასრული\*)

გურჯაანელებმა ერთი ახირებული, მაგრამ სასარგებლო განაჩენი დადგინეს ამ თიბათის დამდევს. ეს საქმე ისეთი საინტერესოა და სხვა სოფლის საზოგადოებათათვის საგულისხმეოა, რომ საქორდ ვრაც დაწერილებით ეუბამო მკითხველს.

ს. გურჯაანში 15 საეპოლუქანი არის, მათში 4 ფართალისა და 11 სამიკიტრა. მათგან ერთი მეფარჩე სიღნაღის 2 გილდის ვაჭარია—მის განსვენებულ მამას ამ თორმეტის წლის წინად ახაშენში კულა-ჯარით დაჰქონდა თურმე საწერილომანო, საი-ღამაც ერთი უკაცრალის დანაშაულისთვის თურმე გამოადგეს. მან გურჯაანში მოიკადა ფეხი, გაალო მეწერი მანის ღუქანი და დახლში მელიქა-კაპლო ჩაყენა. მერე, როცა გულზე პატარა ქონი მოიკრა, სიღნაღშიაც გაალო ფარჩის ღუქანი, მისი „ოტდელენი“ შეუერთა მეწერილ მანის ღუქანს გურჯაანში და განაღდა ვაჭრობა, ძლივს დასძლია წმინდა პურის გემო ფეტვის მჟადით სულ-ამორთმეულმა. რაღა თავი შეგაწყნოთ, ნიკოლოზამ თქვენი ქირი წაი-ლო და ამ ქვეყანას ექვს ვაჭრ-მეილი დაუტევა. მათგან სტეპკო-ზაქროზე რამდენჯერმე სამართალს „ციხეში არესტუტი“ გადაუწყვეტა და წარსული დიდ-მარხვა ზაქროს სიღნაღის ციხეში უმარხულნია. მელიქას ერთს დროს ჰპრალდებოდა დავით ურის მოკლა გურჯაანში, თოთხმეტი თვე ციხეშიაც იჯდა. დღემდე გურჯაანში ვაჭრობენ მელიქა და კაპლო. ღეთის წინაშე, ყველა შეშული აქვს, თითონ იძახიან ჩიტის რძეცა გვაქვსო. მართალია, ძველადგან ნათქვამია—„ვაჭარი ერთი ვაჭრობსო“, მაგრამ ამისთანა განიგ-რული სიტყვები მელიქას და მის ძმებს ყურში ერთიც არ შეუშვიათ. მელიქასთან რომ მანდილოსნები მივიღო-

ნენ სავაჭროდ, ლანძღვა-ორვეით და უწმინდურის სიტყვებით აბეზრებდა თავს. დღეს ხელითა თიბინა ხალხ-მა თავის ცოლ-მეილის ბიბრობა. მელიქა და კაპლო კი უფრო უჩინ-ჩხილებდნენ ცეცხლს: ზოგს „ავა-ნაკს“ ეძახდნენ, ზოგს დათეს, ზოგს ბრიყვ ქართველს, თავადი არ გან-დათ, მღვდელი და ერთი ბოლოს მამა-სახლისთან გაბა დავი-დარაბა და სა-მართალში ესე გათავდა: „მელიქა რაი თთვე ციხეში ჩაჯდესო და რაი თუმანიც სახაზინოდ გადახდესო.“ მამასახლისმა 80 ცალი რაღაც რუ-სული დამალი თევეი უბოვა და ნა-ჩალითან გაგზავნა. ამაზე მელიქა სამის თუმნით დაუჯარიმებიათ.

როცა მელიქა გურჯაანელს ვის-მეს უჩიოდა სოფლის სასამართლო-ში, მოსამართლეებს არ უსვენებდა, ბანსა და კა-ს თავზე აქცევდა; რო-ცა გურჯაანელი ვინმე უჩიოდა მელი-ქას, მაშინ მელიქა როდი და მილიო-და—„მე სიღნაღელი ვარ, მირიგოი სულში მიჩვილნი“. ამ ნაირის მო-ხერხებით მელიქა ხან ფრინველბა, ხან ოთხ-ფეხობა, ღაშურასი არ იყვებ. მელიქას და კაპლოს ორ-ნაირი საწონი ქვები (გირები) აქვს, დიდით თითონ მიიწონავენ, იყი-ლიან; პატარაით მიუწონავენ, გაჰ-ყილიან. ორ-ნაირი საწყაოცა ჰქონიათ: პურისა და ღვინისა: ღვინის ღირ-თა და ჩაფით თითონ მიიწვენ, იყი-ლიან; პატარაით მიუწვენ, გაჰყილიან. საზომიცა ჰქონიათ ორ-ნაირი: ნა-კ-ლების ალაბით უბირ ხალხს უზომ-ვენ, სწორე ალაბით მცნობიერსო. ერთხელ ათი გირვანქა ზაქრის ფასი ავლოთ და რვა გირვანქა კი გამოსუ-ლიყო; ამ საქმეზე სიღნაღის სულში დღესაც საქმეა შემდგარი.

ამისთანა ორკოფობა რომ კარგა შეიგნო ხალხმა, მაშინ კი ვეღარ მო-თმინა; შეიკრიბა, და კრება კვლავ-ინდებურად ყაყინით როდილა გათა-და! კრებამ დადგინა 8 თიბათეც: „ჩვენ ამის ქვემოთ ხელის მომწე-რენი—გურჯაანელები ამა და ამ მიზეზებისა გამო, დღეს იქით პირო-ბით ვიკვრიოთ, რო ჩვენგან—ვისაც ამ განაჩენზე ხელი უწერია აღარაინ გაბედოს ვაჭრობა მელიქა აივანო-

ლი და უცვლელი შემოსავალიც კარ-გა ჯამს შეადგენს ხოლმე. მაგალი-თად, როგორც ამბობენ თვით მოი-ჯარადრესთან დახლოებულნი და საქმის კარგად მცოდნე პირები, ყო-ველ-წლიური შემოსავალი ბალიდამ შეადგენს:

ერთის ბუჭეტადამ . . . 2,500 მან. მეორე ბუჭეტადამ . . . 1,200 „ ხეებისა, სახელობრ, ნერ-გების გაყიდვისაგან . . . 600 მან. ხეხილის . . . . . 800 „ ამ ნაირად ყოველ წლიური შემო-სავალი შეადგენს ხუთი ათას ასს მა-ნეთს, ესეც იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ უმცირესს ციჭრს ავიღებთ შე-მოსავლისას. ნამდვილ კი შემოსავა-ლი, რასაკვირველია, უფრო მეტია. ჩვენ აქ კიდევ არ ჩავითვლია რკინის გზის საფარის (ბუღკის) გადასახადი, რომლის რაოდენობა, საუბედუროდ, ვერა გაივით. მაგრამ ზემო-ხსენებუ-ლის გარდაც რომ არ იყოს სულ შე-მოსავალი, განა ეს კი ცოტაა? რო-მელიმე ჩვენთაგანი დაიწუნებდა და არ იკმარებდა ხუთი ათას ასს მანათს,

თან. ვინც ამ განაჩენზე ხელის მომ-წერმა ამას იქით გაბედოს მელიქასთან ვაჭრობა, გლეხმა ოც-და-სუთი მანა-თი შტრაუტი ვადინდა, თავადსა ხუ-თი თუმანია. ერთ დღეს ოთხასმა გლეხ-კაცმა მოაწერა ხელი ამ განა-ჩენზე, მარშალმა თავადებთან და ღვინელებმა დიაკვნებთან. (ახაშენ-ლებს და იქაურს ვაჭრებს იქნება გამოადგეთ ამისთანა განაჩენი?)

მას აქეთ ეს ოთხი დღე მელიქა და კაპლო თავის დახლში ბუჭებსა სთვლიანო და ჩოთქე ავდებენ, რაკი აღარაინ ვაჭრობსო. ახლა სიღნაღს აპირობენ წასვლას გამოსაცხადებლად—„ვისაც პარტიობით რამეები უნდა, ჩვენთან მოიკითხოსო“...

ცხვილოვლი 1886 წ. 11 თიბათე ს. ჩემლაყი

ნ ა რ კ ვ ე ე ი (ურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „Новое Время“-ს ღონ-დონელი კორესპონდენტი ახი-რებულ ამბებს მოგვითხრობს გა-ზეთის დღევანდელ ნომერში.

ევროპის პოლიტიკაში ახალი შუქი აღმოაჩნინდა, —ასე იწოდებს კორესპონ-დენტი თავის წერილს. რუსეთს ეხლა უფრო სხვა თვალთ დაუწყეს ცქერა. პოლ-ტარის „ვიტორ ემანუელისა“ (ესე იგი მთავარ ალექსანდრესი) და „გაგუის“ (ესე იგი მთავარ-მინისტრ კარაგელოვისა) დაფინს გვირგვინი უცხად დაჭანა ინგ-ლისში და ქებათ-ქება ერთხელ შესწყდა. ღონდონში მთავარ ალექსანდრეს ეხლა ღანძლავდნ და უჭადიან, რომ ცდილ საქ-მე დაგეგმარებო.

რა მოხდება რამ უცვალა ასე უც-ხად ინგლისელებს გუდი?

ამ ცვლილების მიზეზი რუსეთია, გვა-უწყებს კორესპონდენტი. ინგლისის წარ-მომადგენელი პეტროპოლიდამ ისეთს ამ-ბაგებს იწერებს თურმე, რომ ინგლისი დაავიქრო. წარმომადგენელის წერილე-ბიდანა სჩანს, რომ რუსეთი აღარა ხუმრობს და თუ ბალკანის ნახევარ კუნ-ძულზე საქმეს ცოტათი კიდევ გაააჭარ-ბეს და გადაამლაშეს, რუსეთი მეტს ღარ მოითმენს და უფოდ რაიმე ღონისძიებას იხმარსო. ღონდონში ამბობენ კიდევ, რომ, თუ ბოლგარიაში კიდევ რაიმე არე-

თუ ასე ტყეილა უბრალოდ „გვიფე-ქაშებდა“ ვინმე?

ეს ფული ხომ, რაღა თქმა უნდა, გვერთმევა მე, თქვენ, ყველას,—ეგრედ წოდებულს საზოგადოებას. საინტე-რესოა ამისათვის ვიკოდეთ ისიც, თუ რას გვაძლევს სამაგიეროდ ბ-ნი მოი-ჯარადრე. იმ ერთ ბოთლ ღვინში (პიკო), რომელსაც იგი ჰკიდულობს იქვე, ორი ფენის ნაბიჯზე, ვეტყე-ლიდამ—11 კაპ., დიდობილამ—9 კაპ., და მადერილამ—10 კაპ., ჩვენ გვართმევს ხუთს შაურს, რომელსაც თქვენვე ხომ უნდა დაუშატოთ ჩვეუ-ლებისამებრ კიდევ ორი შაური მო-სამსახურე ლაქასათვის. ამ უკანასკ-ნელთ მოიჯარადრე არ აძლევს ჯამა-გირს და ისინი სჯერდებიან იმ გრა-შებს, რომელსაც იღებენ მოსიერ-თაგან. ეს, როგორც გადმოგვცეს, ერთი იმ უფლებათაგანია, რომლი-თაც სარგებლობს ბ-ნი მოიჯარადრე. საზოგადოდ მას მოსამსახურენი არა თუ ტყუილად ემსახურებიან, კიდევაც უჩენენ სხვა შემოსავლის წყაროს. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ წელს,

უღობა მოხდაო, ვითომ რუსეთს დამა-ღებელი კიდევ ჰქონდეს პლანი—ბოსფო-რი დაიჭიროსო. ამ ამბავს ათას გვარად ასხვადფერებენ, ამაზედ ლაპარაკობენ პარ-ლამენტის წევრები, ამაზე სჯიან ყველ-გან, სადაც კი პოლიტიკაზე ლაპარაკს ჩამოადგებენო.

ამ გარემოებას ღონდონში დიდ ეურადლებას აქცევენ, ამ ამბავმა დიდად დააფიქრა ინგლისელებიცო, ამბობს კორესპონდენტი და შე-დეგ ასე განაგრძობს:

ღონდონში იმ აზრისა არიანო, რომ ევროპა ეხლა ძალით წინააღმდეგობას ვერ გაუწყებს რუსეთსა. ევროპას ეხლა ამისთვის არა სცადიანო. ევროპა მხო-ლოდ იმით აგებს პასუხსა, რომ ოსმალე-თის გუნძულებსა და სხვა და სხვა ადგი-ლებს დაიჭერსო: ავსტრია მაკედონიას მიესვება, ინგლისი კანდაის დაიჭერს და ევროპის მთელი ფლოტი ბოსფორის წყლებში ჩადგება. ევროპის ფლოტი დროებით დარჩება აქ, მანამ რუსეთი ამ აღადგ არ მოშორდება და სტამბოლი სა-ყოველთაო ერთა შორის ქალაქად არ გარდამქცევაო.

ამ სახით განაგრძობს კორეს-პონდენტი თავის წერილს და კი-დეგ ბევრს უცნაურს ამბებს გვაუ-წყებს. ვერ ვიტყვით, რამდენად ახ-ლოა ეს ახირებული ცნობები სი-ნამდვილისთან. შეიძლება აქ ბევრი ფანტაზიის ნაყოფიც იყოს, რად-განაც წერილი ცნობილ კორე-სპონდენტს ბ-ნ მოლჩანოვს ეკუ-თვნის.

ქადაგდის ფულის დაბეჭვდა ეტყობა ისედაც არა ჯდება. აი გა-ზეთ „Виржевия Вѣдомости“-ში რას ვკითხულობთ.

1885 წელს ქალაღის ფულის მოსა-მზადებლად სახელმწიფომ დახარჯა 552,538 მანათი, ამ 1886 წელს კი ამავე საგანს 2,044,678 მანათი ხარჯი უნდებო. ამ ფულადამ 530,598 მანათი სა-კუთრად ახლის ქალაღის ფულების დაბეჭდვას მოუნდებო, რადგანაც წელს ბევრი ძველი ქალაღის ფული უნდა დაიწვასო. დახარჩენი 1,500,000 მანათი კი არა-ჩვეულებრივი ხარჯიაო, ეს ხარჯი წელს იმითმე მოსდის სახელმწიფოსა, რომ განზრახვა აქვს ქალაღის ფულის სახე შესცვალონ და ამ შეცვლას დიდი ხარჯი უნდებო.

მაგალითად, მოიჯარადრემ გადასცა ადგილები მოსამსახურეთ იმ პირობით, რომ მათ შეეშუშებინათ ისინი თავის სასარგებლოდ, და როცა მათ მართლა იშრომეს და გააწყვეს ბოს-ტანი, მოუნახა რაღაც მიზეზი და გა-ყარა ყველანი, ხოლო შემუშავებული ბოსტანი კი დანარჩუნა თვითონ... როგორც ჰხვდათ, ბ-ნი მოიჯარად-რე თავის ბოსტნების შესამუშავებ-ლადც არ ჰხარჯავს არაფერს.. ამას კიდევ ვინ დავძებს, ოღონდ ჩვენ მო-სიერნე ხალხს გვეპყრობოდეს ზრი-ლობიანად. თუ გნებავს, ზრილო-ბამაც თქვენი ქირი წაიღოს, რომ ცოტადენს რიდს მაინც იჩენდენ ჩვენ შესახებ. ამას წინედ, მაგალითად, შემდეგი შემთხვევა იყო მუშტიდში. ვილაც ყაზახის აფიცერი იჯდა სუფრაზე თავის სტუმრებით და ელოდინებოდა ვანამს. ხანგრძლივის ცდის შემდეგ მოართევს მწვადი, მაგრამ როგორი მწვადი? აფიცერმა მისი დანახისათა-ნვე იტაცა ცხერის ხელი, რამოდენ-ნიმე წამს შეჩერდა მოსამსახურეს გო-ცებით და ბოლოს მოაელო ხმალს ხელი და გამოუღდა უკან მწვადის მომტანს. მოსამსახურე შეეარდა ბუ-

შემდეგი პატარა ამბავი, რომე-ლსაც გაზეთი „Новое Время“ მოგვითხრობს, საუცხოვოდ გვიხა-ტავს პეტერბურგის საზოგადოე-ბის ზნე-სასათსა და მის შესხედუ-ლობას ცოლ-ქმრობაზე.

— მიხარით გეთყვებო, —ჰკითხავს ქა-ლი ვაჟსა, ბავარიის განსვენებულს კო-როლს ცოლი ჰყვანდა, თუ არა?..

— არა!.. უპასუხა ვაჟმა გესვლიანად... კოროლი არც ასე ჰყვანებო-შეშლილ ყო-ფილა...

კარგი იქნებოდა, გაზეთის ეუწ-უებინა: — ეს ქალთ-მძულვარე ვაე-ბატონი ცოლიანი იყო, თუ არა? თუ ცოლიანი იყო, კბი ქება კი შე-უსხამს თავის თავისთვის!..

სახელდახელო

(უბად ასაღებო—წყალ-წასაღებო ამბები)

ჩვენს გულ-მართალ და გულ-ღინჯ-თა მსაჯულთა ლამის სულ გაუცუდ-დესთ სახელი. თთვე არ გადის ისე, რომ რომელიმე მათგანი არ გამოვი-დეს საზოგადო სარბიელზე და თავის გამოხვლით ერთხელ კიდევ არ და-ამტკიცოს ძველი ქვემარტება, რომ „ყოველი იგი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს“. ევლახოვის საქმემ მაინც მეტის-მეტად შელახა და შებლაღვა „კვაკასიის თემიდის“ ღირსება, რა-მელიც შეიქმნა უბად ასაღებლად მთე-ლის რუსეთის ყურნალ-გაზეთობაში. ეს საქმეო, ამბობს, მაგალითად, ენა-მჭრელი და სიტყვა-წყლიანი მე-ფელეტრანე „ნოვისტებისა“, ბ-ნი ბუკვა,—„სათამაშოა“, მაგრამ სათა-მამო კარგი, ძველი, ძვირფასი, რა-გორც, ესთქვით, ძველი დირექტო-რისი ღრისისა, ან და მოხატული მარაო ლიუდოვიკის XV ეპოქისაო. ერთის სიტყვით, ეს საქმე—„ანტი-კაოა“, ამტკიცებს მეფელეტრანე და შემიდეგ, მოუთხრობს რა მკითხვე-ლებს მისს ამბავს, დაბეჯითებით ათა-ევებს: „როგორც სჩანს, ბატონებო, დიდი მნიშვნელობა ჰქონია დაწერილ „უსტაგებისა“ გამოცვლასა და გა-დასხვადფერებაზე ეგრედ წოდებულ

ჭეტში, ექ აფიცერმა გაავდებინა ხე-ლიდამ მას ეს სვე-უბედური მწვადი და მახალა თაეში ბუჭეტის უფ-როსს. საქმე იმაშია, რომ მწვადი ჰყარდა, როგორც მოიკრი, და საესე იყო მატლებით...

ნუ თუ ამ გვარი ფაქტი საზოგა-დოების მასხარად ავდებს არ ჰნიშ-ნავს და ღირსი არაა ყურადღები-სა?!

ამბობდნენ, რომ ამას წინედ რა-ღაც კამისია იყო დანიშნული მუშტი-ღის და მისი მოიჯარადრის საქმის განსახილველად. ნუ თუ ამ კამისიამ ვერაფერი ვერა გამოიძია, ვერაფერი ვერ განიხილა და ისე ბრმად შეჩნდა თავის დანიშნულებას? თუ არა და, სადაა შედეგი მისი მოქმედობისა, რა ვლდებულემა დაუწესა მან მოიჯა-რადრეს და რა შელავთი მისცა სა-ზოგადოებას? ეს ყოველისფერი მეტად საინტერესო საგნებია და კარგი იქ-ნება პასუხი მოგვეცნ მათ, ვისიც ვერ არს...

ადგილობრივს გარემოებას, ჰაერს, მიწას, ოროგრაფიას, ხმელეთის შემოხაზულობას, ჰაერთა ზედა-მოქმედებას და სხვ. ვიტყვი, ფრეიგანგი, ევლანოვი, ეს სამი მშვილდოსნები არიან, რომელნიც სდგანან დარაჯად სრულიად რუსეთის სამოსამართლო წყობილებათა და «კავკასიის» იუსტიციის სამშენებელნი... ნეტავი ჩვენ, რომ ამისთანა ყარაულები გვყავს, ესთქვით ჩვენც ჩვენის მხრით, და ვადავიდეთ ერთს ახირებულს საქმეზე, რომელიც, უცქველია, მეოთხე «მშვილდოსანსაც» ამოაჩენს ამ ცოტა ხანში...

\* \*

ეს მეოთხე «მშვილდოსანი» ბა უმის მომრიგებელი მოსამართლე უნდა იყოს. ამას წინედ ერთს აქაურს რუსულ გავთვით იყო დაბეჭდილი მეტად საყურადღებო წერილი, რომელიც დალაგებით და საბუთებით ჩვენებით მოგვითხრობდა იმ გვარ რასმეს ზემოხსენებულს მოსამართლეზე, რომ, ის დაჯერებას კი გამგებლობა უნდა ღია. საქმე ის არის, რომ ბ-ნი მოსამართლე გუგულობს თურმე, ესე იგი დაუბრუნებლად ენატრონება ყოველ სახლს, რომელსაც დაინახავს კარგად მოწყობილს და გამოადევს თავისთვის. ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ ახირებულის ჭინის ასრულებასათვის ბ-ნი მოსამართლე უარ-ჰყოფს იმ კანონ-დებულობას, რომლის ძალით სხვებს არხინად ისტუმრებს «ვირის აბანოში». თვითოველად რომ ჩამოეთვალათ აქ ყველა ხრიკები, რაც ამ მრულ მოსამართლეს უხმარია ბათუმელის ექიმის, ბ-ნ ხ-ვის, წინააღმდეგ, — ეს შორს წაგვიყვანს და ნამეტნავად ვაგვრძობებს წერილს. ამისათვის ვიტყვით მოკლედ, რომ მოსამართლეს — გუგულს არა თუ ვაუგდია დაქირავებულ სახლიდან ბ-ნი ხ-ვი, არა თუ დაატრონებია მის კუთვნილებას, — მთელის ორის წლის განმავლობაში უტარებია — ცხვირით ის ბრმა მანდილოსანი, რომელსაც თემიდას ეძახიან და რომლის მოსამსახურეთ თვითონვე ითვლება. საბრალო ექიმს ჯერ ვერ ჩაუბარებია თავის მოპირ-დაპირესთვის უწყება, მემრე ვერაფრის გზით ვერ გამოუწვევიათ იგი სასამართლოში, დასასრულს, ვერ მოუყვანიათ სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილება. ბ-ნი «სულია» ხან „არ იყო სახლიში“, ხან «არ ეცალა»; ხან არა მხალდა საქოროდ დამორჩილებოდა სამსჯავროს გადაწყვეტილებას სხვა-და-სხვა ახირებულ და ქუეში ძნელად მოსასვლელ მიზნებისა გამო. ერთის სიტყვით, საქმე ვაჭიანურდა იქამდის, სანამ ბ-ნი ხ-ვი არ გაუთავდა ვადა სახლის დაქირავებისა და როცა გაუთავდა, მაშინ ხომ არც ნება ჰქონდა ეს არამკითხველ გუგული დაჩემებულის ბუღილად დაეძრა...

\* \*

მას შემდეგ, რაც რომ პირველად წავიკითხე ეს ამბავი და დავუკვირდი მას, ერთი რამ ფიქრი განუშორებლივ მელანდებოდა თავად წინ და არ მძღვეს მოსვენებას. ნეტავი, — ვკითხულობ მე, — როგორ უნდა ეყრბობოდეს ბ-ნი ბათუმის მოსამართლე მდაბიო ხალხს, ან იმ უჩინარ და კანუითხვე «ოღლებს» და «ბეგებს», რომლებითაც საესეა ბათუმი და რომელნიც ასე

გულ-მოღვინეთ ადევნებენ თვალ-ყურს ჩვენს ცხოვრებას და წეს-წყობილობას? თუ კი გამოცდილმა და მცოდნე კაცმა, როგორც არის ბ-ნი ხ-ვი, ვერა რა ვაწყობ სამოსამართლო ძეგლით აღჭურვილ მოსამართლეთან, როგორ უნდა შეითვისონ იგი მათ, ვისაც არც გამოცდილება აქვს, არც ცოდნა და ვისაც ვერ გაუჩრევია ბოროტ-მოქმედება მოხელისა კაცის ბრალია, თუ წესისა?.. საქორა, რომ ეს ახრი ხან-და-ხან იმათაც მოსდობდესთ თაემი, რომელთაგანაც დამოკიდებულთა საზოგადოდ მოხელეების და კერძოდ მსაჯულების დანიშვნა ახლად-შემდინილს ქვეყანაში...

\* \*

დასასრულს, პატარა ახალი ამბავი. ხუთმეტს იენისს გამოსულ „თეატრის“ ნომერს ძველის „რედაქტორის“ სახელის მაგიერ აწერია სხვისი სახელი. მართალია, როგორცა სჩანს ამ ხელის-მოწერილად, ახალი რედაქტორი — «რედაქტორის მაგიერი», მაშასადამე დროებითია, მაგრამ არა უშავს: რადგან იგი კარგად ყოფნა სჯობია მუდმივ ავად-მყოფობას, და თუ რამე კეთილი დაეცოდა «თეატრს» ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში, ისიც სასიამოვნო ამბავად უნდა ჩითვალოს. ჩვენის მხრით მხოლოდ ერთს ვურჩევთ ახალს რედაქტორს: მუდმივ ანთებული ბუნარი იქონიოს რედაქციაში სხვა-და-სხვა „სარკმელ ქვეშ მდგომ“ პოეტების და იმათივე მსგავსის „პოლემისტების“ ნაწარმოების განსაქარწყლებლად, ვინცობაა თუ იმათ ხელ-ახლად ააქციელეს თავიანთი „მუხები“ და ააფრინეს თავიანთი ბუნები. კარგი არის აგრეთვე კარბოლის სიმყამე ამ წინა ხანში მინიც, რადგანაც „თეატრს“ ცოტა არ იყოს ეჭირება განწმენდა ავი სუნიანგან... სხვაფრივ ვისურვებთ ახლის რედაქციისათვის ყოველ-გვარ წარმატებას და, დასასრულს, მიუთითებთ ერთს ნაკულულებებზე. „ტეატრს“ სათაურში აწერია, რომ ის ვითომ „მხატვრობითი გაზეთი“ იყოს. ეს ტყუილია! ის „ოჩი-კოჩები“, რომელნიც დახატულნი იყვნენ შიგ, არავის მხატვრობას არ წარმოადგენენ და სულ რომ არ იქნებოდნენ, ბევრად ემჯობინება. მე გოგონა, რომ „თეატრის“ მკითხველები, თუ ამისთანები მოიპოვენებინ, სიამოვნებით მიიღებენ ამ ჩემს წინადადებას...

ილ. ხონელი

# დეკემა

27 ივნისს

**პატივპაზრბი.** „Правительственный Вѣстник“-ში დაბეჭდილია მთავრობის წერილი ბათუმის ზორტოტრანსკის მოხმობის თაობაზე. წერილი ამბობს, რომ ზოგაერთა უცხო გასკოების ახრი, ვითომ ამ გვანის განკარგულების გამო ერთი მუსლი ბერდინის სულ-შეკრულობის ინდუგუა, სრულიად არ უშვასამქვს საქმის ნამდვილს გარემოებას, რადგანაც ზორტოტრანსკის დაწესებას იხუთბს საქმის ვითარებას გამოაწვია, რომელიც მას შემდეგ სრულიად შეიგნა. ამასთანავე კი, ზორტოტ-

რანსკის გამო, ბათუმის ზორტი და მის გარეშე მდებარე ქვეყანა იხუთბს განკარგულებს მდგომარეობაშია, რომ სამიშენატრო მთავრობა იმულებული იყო დადი ურადღება მიქცია ამ სანსისთვის. ზარდალი მარტა ის კი არ იყო, რომ ბაჟის ფული გმკანტებოდა უცხო ქვეყნებიდან შემოტანისის საქმისათვის; მსედეგლობაში უნდა მივიდეთ კიდევ ის სარჯობა, რომელიც სწავრო იყო სხვათა სყარაულებებისათვის. ამ სარჯობს გამო თვით წყარობა ქალაქის ეკონომიურის წარმატებისათვის სთავადაე იქმნენ მოწვევტილია. გარკობა შეიხუთა და შეიხდუდა მცირე ლაგანს და არ შეუძლიან განკარგებაში შევადეს იმის შესაბამად, როგორც ქვეყანა შედის წარმატებაში მის შემდეგ, რაც რუსეთს შეუერთდა; სავარგობა და სამრეწველო დაწესებულება და საქმეები შეუძლებელია არიან სყარაულებების გარეშე, რადგანაც შეუწყნელი ბრძოლა მოუხდება იმ მოცდელებთან, რომელთაც სწავრო საქმელი უბაჟოდ მოხდით. ახეთს მდგომარეობაშია სხვათა შორის საქმე სავთის სწავობებისათვის: ბათუმი უმწვევარადესი წერტილია ბაჟის რავინს გვის და ამის გამო ბუნებრივად სწავობა ლაგობა ამ გვარის მრეწველობისათვის, რომლის განკარგებას დადი მისაშენებლობა აქვს, როგორც ამერკარგობის კეთილ-დეგობისათვის, ისე სამსჯავრო-გარეთის მომხმარებელთათვისაც; გარდა უზარატებს ბათუმის ადგილ-მდებარეობისათვის თითქმის სრულიად სულ-მოცრალია და განბთილებული იმ სანსარად ვითარებისაგან, რომელიც ზორტოტრანსკისაგან წარმოსდგება. ეს არის მისეუა, რომ აქაურს მთავრობას მუდამ მოხდის სანავარი სავთის მრეწველობა და მწარმოებელთაგანათს გვარ შეგარების თაობაზე. ეოველსავე ამის გარდა მოგვარუნა და უფრო კიდევ უმეტესად გარეშე-მოფლებების მკვადრნი მრავალს სხვა-და-სხვა შეიარებაში არიან: სოფლები გადღებულნი არიან ბათუმში თუ საქმელი იყიდეს, გარდა-სადონ ბაჟი და ისიც ოქროსა და გვრტლის ფულითა, სმარად უნდა დაამტკიცონ რომ ის ტანსამოსიც, რომელიც ტანსაცხვანთ, სდაურა და სდა არის სანუადია. ამის გამო შუდლი და უსამოგნობა სდება. დედაკარგები-კი არ არიან შეყენარებულნი და უნდა განსჯულ იქმნენ სოლმე სხვათა მთავრობის მიერ. განსჯავს და სელის-სლება კი დედა-გარგანს მოსლემინობას მანხნა დად შეურაცხ-ყოფად. ყველა ამ მოსარგებობათა დადის უადრესობის გამო მთავრობას არ შეუძლიან დაიგაწეონ და არ გაისხნონ, რომ 59 მუსლს ბერდინის სულ-შეკრულობის სრულიად განსაკუთრებული ლაგობა უჭირავს. იმ მუსლში ის კი არა სწერია, სხე მოყრადით ერთობილად, არამედ ისა სწერია, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორმა თავის ნებით და თავისუფლად გამოაგნადა თავის რწმუნებულის პირით, განსარგებას მატეს ბათუმში ზორტოტრანსკის დაწესებობა. თუ იმ სარგებლობას იტყვიან, რომელიც უნდა დადოს სანსედეგობათს ქმნისდათ ამ ზორტოტრანსკის გამო, იმ დადოს

სანსედეგობათა, ვინც სული მარე-რას სულ შეკრულობას, არც ეს სარგებლობაა ესა მსედეგობაში მიხლები, იმიტომ რომ, რაკი გარგანის ესრედეგობული ტრანსკიტი მოხსნა, ბათუმი სწავობა ლაგობად არის იმ საქმლისა, რომელიც ევროპისა და სმარსეთს შუასლებ-მიიწმობდა, ისე რომ ბათუმი მხალად საქმლის შემოსატანა ზორტი შეიქმნა. ამ ხანით დღეს დადარ არსებობს ის გარეშე სარგებლობა, რომლის გულისათვისაც სწავრო იყოს, მთავრობამ უწინდებურად შეიწყნაროს კიდევ ათასი მსელად მოსამტენი გარემოება და სარდალი აგლიოს მთელს ქვეყნის კეთილ დეგობას. ,ორტოტრანსკის დაწესების სანსაკუთლო შედეგად უკვე გამოძედად ამ რვა წლის გამოცდელების შემდეგ და დღეს ხომ შეუძლებელი-დაა სავარგობა მიიხნათ, რომ ყოველად სწავრო მოხსნოს ეს დაწესებულება.

**პარიში.** საფრანგეთი სრულიად გულ-ცვიად ევიდება ზორტოტრანსკის მოხმობის საქმეს ბათუმში და არ მიეპნობა დიდათ სანსედეგობას, უკეთუ ამო წინააღმდეგობა გამოატანდეს. ასევე თავდაჭრით იქვე საფრანგეთი ბოლგარის საქმეშიაც.

**ლონდონი.** ამოწმულ იქნა 299 მოწინააღმდეგე განდითატი და 195 მთავრობის მომხრე. კარდაში, რაც გამოატანდეს ამდენი და ამდენი იქმნენ ამოწმულნი, სხუბი მოხდა და წესირების დასაცვლად ზოლიცა იარადით სულში უნდა ჩარეულიყო. 100 კაცად დაჭრილი, მათ შორის დედა კარებიც არიან.

28 ივნისს

**პატივპაზრბი.** აქ მობრძანდა ელდინების კოროლეკა და შავოკესკი, ცარსკოე სულს ასლეს, წაბანდა.

**სამოკი.** დღეს მობანდა აქ დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მუეღლითურთ.

**ბელგრადი.** განსარგება აქვთ მუდმივ ჯარის ერთი ნაწილი სანსედეგობის სამსრეთს ნაწილში გადაიყვანონ. ამის მიხეობა ის არის, რომ აქ დიდის მანერების გამოტვა უნდათ და არა ის, ვითომ ჯარი გამოიყვანათ ფრანგურ-გოიების წინააღმდეგ, რომელსაც ობრუნოების ვარეულობის წინააღმდეგ რადგა ცრუი განსარგება აქვს.

**ლონდონი.** აღმოჩნულია 318 მოწინააღმდეგე და 200 მთავრობის მომხრე განდითატი.

**პარიში.** ზალატის გამისამ სხლის აღმაშოთაუთელ შროკვამტების კედლეზე გარგის გამო, გარდასწყვიტა, ეს საქმე ოქტომბერში განსილეს.

გუშინ, რადესაც ზალატის სსდომს თავებოდა, ერთმა უნებობა კანდა ბანიშინიდან ტყვია ისროდა, რომელიც ზალატის შრეიდანტს თავსე გადურა. გამოიბების დროს სთქვა, რომ დიდს სიღარბეში კარო და ამით მსურდა ჩემსკდ ურადღება მიქციათ. ფიქრობენ ჭკუასე უშლილი უნდა იყოს.

**საქალმედრო სომბანი**  
ქრისტეს აქედ ჩუგ (1886) წელიწადი. ქვეყნის შემქნიდამ 7394.  
ქველი ინდიქტიონი მე-14,  
ამისი ქორონიკონი — ულწ=478  
წელი. დიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4,  
ამისი ქორონიკონი — 42 წელიწადი. დიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.  
1886 წლის ზედ-ნადები — 3.  
ივნისი 30 დღით არის.

24:2— ჩადის 0—17 ნდ.  
29 დღე კვირას. წმ. მოციქულთა ჰეტრე-პავლესი. კათ. იგივე დღეობა. სანსედეგობა მათის უმაღლესობის ვლადიმერ ალექსანდროვიჩის. საქალკო დებულების შემოღება ქეთისში 1875 წელს. დიდი მიწის-ქვრა ნახიგვანს, ამ დროს დაიღუპა სოფელი ახურა, მოსახტერი წმ. იაკობისა და 2000 მცხოვრებელი. ქალაქ მატესა და ნახიგვანის მარაში დაიქცა 6000 სახლი (1840 წელს). ქვეშარიტი შედეგი 12—5—20. ტუილისში მზე ამოდის 4—36; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 4—26; ჩადის 1—32 ნ.

30 დღე ორშაბათი. წმ. 12 მოციქულთა. სომ. წმ. მოწამე ანტონისი, თეოფილე და სხვ. კათ. ემელიის და დუცი-ნისი. სანსედეგობა მათის უმაღლესობის ვლადიმერ ალექსანდროვიჩის. საქალკო დებულების შემოღება ქეთისში 1875 წელს. დიდი მიწის-ქვრა ნახიგვანს, ამ დროს დაიღუპა სოფელი ახურა, მოსახტერი წმ. იაკობისა და 2000 მცხოვრებელი. ქალაქ მატესა და ნახიგვანის მარაში დაიქცა 6000 სახლი (1840 წელს). ქვეშარიტი შედეგი 12—5—20. ტუილისში მზე ამოდის 4—36; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 4—26; ჩადის 1—32 ნ.

**გამოსადები სომბანი**

ნისრი

1 ივნისიდან 1-ლ იელისამდე.  
თეთრი ჰური რუსული 1 გარ. . 5 კაზ.  
წითელი ჰური 1-ის გარისსისა . 2 1/2 >  
> 2 > 2 >  
თინის წითელი ჰური 1-ის სარის. 4 1/2 >  
> 2 — 3 >  
> 3 > 2 1/2 >  
ჯვარის მამის ჰურის ლავაში  
1-ლის სარისსისა . . . 4 1/2 >  
მე-2 სარისსისა . . . 3 1/2 >  
მე-3 — . . . 3 >  
მროსის სორტი 1-ლის სარისსისა. 8 >  
> 2 > 7 >  
სუკა . . . . . 14 >  
ცხვრის სორტი . . . . . 7 >

მიმოსვლა ცუცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდან გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსისისკა და კარში შეივლის შორის გზით შაბათობით 8 საათ. სადამოხე (ყველა სავთ-სადგურებში შეივლის).

კვირათობით სხადმთი სტამბოლამდ-მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-დამეს შორის გზით მოკლეს გზით—დიდით.  
შაბათობით სტამბოლიდან მოდის დიდით.

# განცხადებანი

## ინგლისის მალაზია

არწრუნისეულს გაღურებაში მიიღო ჩიბი, რეკოლეგურები და კრავატები. ისეილება ძალიან იაფად. (10—3)

ღიბეჭდა და ისეილება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში მეთოდური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპიკი